

კინგის ქართული ენის ოლიმპიადა - II ტური

VI კლასი

I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40) ქულა

- რომელია სწორად დაწერილი სიტყვა?
ა) ვაშკაცი ბ) პრჭყალი გ) ჰყავს
- რომელია არასწორად დაწერილი?
ა) ბრჩხილი ბ) გვაქვს გ) დგას
- რომელ წყვილშია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?
ა) დაბლა-ქვემოთ ბ) გაისად-მომავალში გ) აქეთ-იქით
- რომელ წყვილშია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები?
ა) მჩატე-ღრმა ბ) ზორბა-მომცრო გ) სიო-ნიავი
- რომელ წინადადებაშია სწორად გამოყენებული მოქმედების გამომხატველი სიტყვა?
ა) მუხას უამრავი რკო ება.
ბ) მუხას უამრავი რკო ესხა.
გ) შემოდგომაზე ხიდან ფოთლები ვარდება.
- რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა ციტატაში:
„სამშობლო მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა!“
ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში
- რომელ წინადადებაშია გამოყენებული კრებითი სახელი?
ა) „გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.“
ბ) „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, სიყვარულის, ლექსის სადღეგრძელოს ენავ!“
გ) „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა.“
- რომელ წყვილშია სწორად დასმული კითხვა?
ა) მესაე-რამდენი? ბ) მხიარულია - რას აკეთებს? გ) სახელოვანი-როგორი?
- დაასრულეთ წინადადება:
„პაპამ კუნძუ ცულის ერთი დაკვრით“
ა) გააპო ბ) გაგლიჯა გ) მოდრიკა
- რომელია მსგავსი ჯგუფის ნაცვალსახელები?
ა) ეს, ეგ, ბ) შენ, შენი გ) ის, მათი

II სავარჯიშო შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ ან გ (20) ქულა

- რამდენი კრებითი სახელია ტექსტში?
„ მიილია ზაფხული. ნახირი თავის სადგომს დაუბრუნდა. ყვითელმა ფოთოლმა დაფარა ირგვლივ დედამიწა. ხეები გაშიშვლდნენ. მხოლოდ ნაძვნარი და ფიჭვნარი შემორჩა მწვანედ გამომზირალი.“
ა) სამი ბ) ოთხი გ) ხუთი
- რომელ წინადადებაში არაა სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
ა) მე-4 საუკუნეში საქართველოში გავრცელდა ქრისტიანობა.
ბ) ოცდა ერთი საუკუნის წინათ დედამიწის დიდ ნაწილს ცუნამმა გადაუარა.
გ) სამიოდე კაციდა თუ მოჩანდა ორღობეში.

13. რამდენი პირისა და რამდენი კუთვნილებითი ნაცვალსახელია ლექსში?

*„საძირკვლად აზრი ჩააგდე, ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი.
მან გააბრწყინა სხივებით ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი.
გვყარაულობდი თვალფხიზლად, შენ იყავ ჩვენი საფარი.
მოგკალით ჩვენივე ხელით, მოძმესთვის ნაჭირმაგარი.“*

- ა) ორი პირისა და სამი კუთვნილებითი
- ბ) სამი პირისა და ორი კუთვნილებითი
- გ) ორი პირისა და ორი კუთვნილებითი

14. რომელი ზმნიზედა მიეკუთვნება განსხვავებულ ჯგუფს?

- ა) წინ , გაისად ბ) ბოროტად, კეთილად გ) ვაჟკაცურად, ძლიერად

15. რომელშია წარსული დროის გამომხატველი სიტყვა?

- ა) ვარსკვლავი მოწყდა ცას.
- ბ) მეგობრები ემზადებიან წასასვლელად.
- გ) მალე თოვლი მოვა.

III სავარჯიშო შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ ან გ (40) ქულა

16. რამდენი სულიერი და რამდენი უსულო სახელია გამოყენებული ტექსტში?

„ჯიხვებს შავი შაშვები თივას და ბალახს ესვრიან.“

- ა) სამი სულიერი და ორი უსულო
- ბ) ოთხი უსულო და ხუთი სულიერი
- გ) ორი უსულო და ორი სულიერი

17. რომელი არაა ანდაზა?

- ა) „შენც იგი უყავ სხვასაო, რაც არგებს შენსა თავსაო.“
- ბ) „სხვა ქვეყანაში მუდამ შენი ქვეყნის დესპანი უნდა იყო.“
- გ) „სხვა სხვის ომში ბრძენიაო.“

18. ხაზგასმული სიტყვები თანმიმდევრობითა და სწორად შეცვალეთ შესაბამისი ანტონიმებით:

*„რას უზამს მტერი გარეშე დამხდურსა მარად ფხიზელსა,
როცა ვერ აწვდენს გულამდე ვერც სისხლიან ხმალს, ვერც ხელსა?“*

- ა) ფარი, შინაური, დროებით მოყვარე
- ბ) შინაური, მოყვარე, ფარი, დროებით
- გ) მოყვარე, შინაური, დროებით, ფარი

19. რამდენი ფუძემოგონიანი და რამდენი ფუძეთანხმოგონიანი არსებითი სახელია ტექსტში?

*„შემოდგომა გაგვეპარა, მიილია, მიიწურა;
ვენახები ჩაიკრიფა, დასაწური დაიწურა;
მადლიანმა ღვინობისთვემ კარი ტკბილად გაიხურა;
მზემ სხივები აიკრიფა, მიწამ ნისლი დაიხურა.“*

- ა) ორი თანხმოვანფუძიანი და ოთხი ხმოვანფუძიანი
- ბ) ოთხი თანხმოვანფუძიანი და ოთხი ხმოვანფუძიანი
- გ) სამი თანხმოვანფუძიანი და ორი ხმოვანფუძიანი

20. რომელია სწორად დაწერილი რთული სიტყვა ანუ კომპოზიტი?

- ა) სამშობლო დაკარგული ბ) შვილმკვდარი გ) ფშავხევსური

21. რომელია კვეცადი სახელი?
ა) აკვანი ბ) დედა გ) წყარო
22. რომელ ბრუნვაში დგას მიმართვა?
ა) მოთხოვნილობით ბ) ნათესაობით გ) წოდებით
23. რომელ ბრუნვაშია სიტყვები: დედით, მეგობრით, სილამაზით?
ა) მოქმედებით ბ) ვითარებით გ) ნათესაობით
24. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში?
„ ბრძენთა უთქვამთ: მოთმინება მოიპოვებს სულსა თქვენსა“
ა) სახელობითი ბ) მოქმედებითი გ) მიცემითი
25. რას ნიშნავს მხატვრული გამონათქვამი ანუ ფრაზეოლოგიზმი:
„ ჩაიღურის წყალი დალია“?
ა) დაკმაყოფილება ბ) უკვალოდ დაიკარგა გ) დაეჭვდა

ბონუს–სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

1. წილობით რიცხვით სახელს დაესმის კითხვა:
ა) როგორი? ბ) მერამდენე გ) მერამდენედი?
2. წარმოქმნილი ზედსართავი სახელია:
ა) მშობლიური ბ) კობტა გ) მცირე
3. განუსაზღვრელი რიცხვითი სახელია:
ა) ათასი ბ) ურიცხვი გ) ასი
4. ზმნას აქვს :
ა) სამი დრო ბ) ორი დრო გ) მხოლოდ წარსული დრო
5. ებიან მრავლობითს აქვს:
ა) შვიდი ბრუნვა ბ) ხუთი ბრუნვა გ) სამი ბრუნვა